585
1982
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 5

1982

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 5 (459) მაისი 1982 წელი

17293

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

121. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

122. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

123. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების დებულება.

124. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისის გოგებაშვილის № 43 და გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის № 348 საარჩევნო ოლქებში დეპუტატების არჩევნების დღის შესახებ.

125. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.

126. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ს. ლუკოვკინის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

127. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ სახალხო არქიტექტორის" საპატიო წოდების დაწესების შესახებ.

128. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

129. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, საგამოძიებო იზოლატორებში, დაკავებულთა ხანმოკლე მოთავ-

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სების ადგილებსა და სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში მოთავსებული პირებისათვის ნივთიერებების, ნივთებისა და საგნების უკანონოდ გადაცემის ან ამ პირებისაგან მათი უკანონოდ მიღებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

130. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ.

131. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.

## განყოფილება მეორე

132. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

133. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. შ. წერეთლისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

134. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. ევტუშენკოსათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

135. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ს. მახვილაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

136. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

137. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

138. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

139. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის სისტემის მუშაკთათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

140. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აფხაზეთის ს. ი. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

141. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

142. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ს. ქრისტესაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

143. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა 1981 წლის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულო სამუშაოებში თავგამოჩენილ სტუდენტთა რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

144. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა 1981 წლის საზაფხულო სამუშაოებში თავგამოჩენილ პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

145. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მაიაკოვსკის რაიონულ გაზეთ „წითელი დროშის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

146. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

147. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ს. გოცირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

148. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ჯ. შ. მიქატაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

149. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. მ. ჯიჭონაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

150. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ს. ჯიჯეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

151. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ზარამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

152. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. ნ. თავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

153. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. გ. ჯიღაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

154. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

155. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკურ გაზეთ „სოვეტაკან ერასტანის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

156. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა №5

157. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვანის რაიონულ გაზეთ „განთიადის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

158. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ე. ბაღდავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

159. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გეგეჭკორის რაიონულ გაზეთ „შრომის დროშის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

160. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ბ. მოწერელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

161. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის სისტემის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

162. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

163. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## განყოფილება პირველი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 121 საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილება-თა და დამატებათა შეტანის თაობაზე

სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 13 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., № 12, მუხ. 202; 1973 წ., № 9, მუხ. 175; 1977 წ., № 4, მუხ. 43; 1978 წ., № 2, მუხ. 31) შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მე-6 მუხლის მესამე აბზაცში, მე-8 მუხლის მეორე ნაწილში, მე-18 მუხლის მეორე ნაწილში, 78-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „უცხოელები“, „უცხოელებისა“, „უცხოელებს“ და „უცხოელებისა“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „უცხოელი მოქალაქეები“, „უცხოელი მოქალაქეებისა“, „უცხოელ მოქალაქეებს“ და „უცხოელი მოქალაქეებისა“.

2. მე-11 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლებისა და თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შესახებ განაჩენების აღსრულებისას კანონების ზუსტად დაცვისადმი ზედამხედველობას ახორციელებენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი, საქართველოს სსრ პროკურორი და მათი ხელქვეითი პროკურორები „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ კანონის შესაბამისად. ახორციელებს რა სახელმწიფოს სახელით უმაღლეს ზედამხედველობას კანონების შესრულებისადმი, პროკურორი მოვალეა მიიღოს ზომები კანონის ნებისმიერი დარღვევის გამოსავლენად და დროზე აღსაკვეთად, მიუხედავად იმისა, თუ ვისგან მომდინარეობს ეს დარღვევა, დარღვეული უფლებების აღსადგენად და კანონით დადგენილ პასუხისგებაში დამნაშავეთა მისაცემად“.

3. მე-15 მუხლის პირველ ნაწილსა და მე-20 მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „სამხედრო ოლქის, ფლოტის, ჯარების ჯგუფების და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობათა სამხედრო პროკურორების“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახეობის, ოლქის, ჯარების ჯგუფის, ფლოტის სამხედრო პროკურორის“.

4. მე-16 მუხლის ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განსაკუთრებულ შემთხვევებში ის პირნი, რომელთაც არამძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთა პირველად მიესაჯათ, და მძიმე დანაშაულისათვის პირველად მსჯავრდებულები ვადით არა უმეტეს სამი წლისა, რომლებსაც სასჯელის მოხდა დანიშნული აქვთ საერთო რეჟიმის შრომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გასწორების კოლონიებში, მათი თანხმობით შეიძლება დატოვებულ იქნენ საპყრობილეში ან საგამოძიებო იზოლატორში სამეურნეო მომსახურების სამუშაოებისათვის. ასეთი მსჯავრდებულების დატოვება ფორმდება საპყრობილის ან საგამოძიებო იზოლატორის უფროსის ბრძანებით“.

5. 27-ე მუხლის მეოთხე ნაწილში, 85-ე მუხლის მეორე ნაწილში, 86-ე მუხლის მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილებში, 89-ე მუხლის მეოთხე ნაწილში, 93-ე მუხლის მეხუთე ნაწილში, 94-ე მუხლის მეოთხე ნაწილში, 113-ე მუხლსა და 115-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა“.

6. 49-ე მუხლის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „საჩივრები, განცხადებები და წერილები“, „საჩივრებით, განცხადებებით და წერილებით“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „წინადადებები, განცხადებები და საჩივრები“, „წინადადებებით, განცხადებებით და საჩივრებით“.

7. მე-60 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 60.** თავისუფლებააღკვეთილ პირთა სავალდებულო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება

შრომა-გასწორების დაწესებულებებში ხორციელდება ახალგაზრდა მსჯავრდებულთა საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლება და სავალდებულო ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი სწავლება იმ მსჯავრდებულთა, რომელთაც არ შესრულებიათ ორმოცი წელი.

ორმოც წელს გადაცილებული მსჯავრდებულნი და პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაში შეიძლება ჩაბმულ იქნენ მათი სურვილისამებრ.

შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს უფასოდ ეძლევათ სახელმძღვანელოები, რვეულები და საწერი მოწყობილობა.

მსჯავრდებულთ წაახალისებენ ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაში ჩაბმისათვის, რასაც მხედველობაში მიიღებენ მათი გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის ხარისხის განსაზღვრისას“.

8. 61-ე მუხლი ამოღებულ იქნეს კოდექსიდან.

9. 64-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 64.** მსჯავრდებულთა განთავისუფლება მუშაობისაგან გამოცდების ჩასაბარებლად

გამოცდების ჩასაბარებლად მოსწავლე მსჯავრდებულები თავისუფლდებიან მუშაობისაგან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით. ამ პერიოდისათვის მათ ხელფასი არ ერიცხებათ, კვება უფასო აქვთ. გამოცდების ჩასაბარებლად მოსწავლე მსჯავრდებულებს ათავისუფლებს მუშაობისაგან კოლონიის უფროსი შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესით დადგენილი წესით“.

10. 78-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არ დაიშვება მსჯავრდებულთა უბადრაგოდ ან გამყოლის გარეშე მიმოსვლა ქ. თბილისში, საკურორტო ადგილებსა და სასაზღვრო ზონაში, აგრეთვე დასახლებულ პუნქტებში, რომელთაც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრავს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო".

11. 82⁶-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მსჯავრდებულებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას ატარებენ ადმინისტრაცია, შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე განაჩენის აღსრულების განმგებელი ორგანო".

12. 87-ე მუხლის პირველ ნაწილში, 93-ე მუხლის მეექვსე ნაწილში, 98-ე მუხლის პირველ ნაწილში, 102-ე მუხლში, 114-ე მუხლის პირველ ნაწილში, 115-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში, 116-ე მუხლის პირველ, მეოთხე და მეხუთე ნაწილებში, 124-ე მუხლის სათაურსა და ტექსტში, 125-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „მშრომელთა კოლექტივები", „კოლექტივები", „კოლექტივის", „მშრომელთა კოლექტივების," „მშრომელთა კოლექტივებს", „მშრომელთა კოლექტივის", „მშრომელთა კოლექტივებისა" შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „შრომითი კოლექტივები", „შრომითი კოლექტივის", „შრომითი კოლექტივებისა", „შრომითი კოლექტივები", „შრომითს კოლექტივებს", „შრომითი კოლექტივის", „შრომითი კოლექტივებისა".

13. 116-ე მუხლის მეხუთე ნაწილში, 117-ე მუხლში, 119-ე მუხლის პირველ და მესამე ნაწილებში სიტყვები „მილიციის ორგანოს", „მილიციის ორგანოების", „მილიციის ორგანოებში" შეიცვალოს სიტყვებით „შინაგან საქმეთა (მილიციის) ორგანოს, შინაგან საქმეთა (მილიციის) ორგანოების", „შინაგან საქმეთა (მილიციის) ორგანოებში".

14. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 20 აპრილის ბრძანებულების მე-9 მუხლი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1977 წ., № 4, მუხ. 43).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 5 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 122 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში" (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბები, 1973 წ., № 8, მუხ. 154) სსრ კავშირის კონსტიტუციიდან, საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების შესახებ საქართველოს სსრ კანონებიდან გამომდინარე ცვლილებები და დამატებები და დამტკიცდეს აღნიშნული დებულების ახალი რედაქცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 5 მაისი.

## საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების

## დებულება

### 123 მუდმივი კომისიების ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მათი შექმნის წესი

**მუხლი 1.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები დეპუტატთაგან ირჩევენ მუდმივ კომისიებს, რათა მათ წინასწარ განიხილონ და მოამზადონ ის საკითხები, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების გამგებლობას განეკუთვნება, აგრეთვე ხელი შეუწყონ საბჭოების, აღმასრულებელი კომიტეტების, ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

**მუხლი 2.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების ძირითადი ამოცანებია:

წინადადებების შემუშავება საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

დასკვნების მომზადება საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეტანილ საკითხებზე;

მონაწილეობის მიღება ორგანიზატორულ მუშაობაში საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის;

კონტროლის გაწევა, თუ რა საქმიანობას ეწევიან საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები, დაწესებულებები და სხვა ორგანიზაციები საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, აგრეთვე სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობის დასაცავად;

ხელი შეუწყონ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 3.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონებით, კანონით საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს შესახებ და საქართველოს სსრ სხვა კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებითა და სხვა აქტებით, ამ დებულებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებით.

**მუხლი 4.** მუდმივ კომისიებს ირჩევენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭო ამ მოწვევის საბჭოს უფლებამოსილების ვადით თავმჯდომარისა და კომისიის არანაკლებ ორი წევრის შემადგენლობით. კომისიის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საბჭო.

მუდმივი კომისიები თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის მდივანს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — კომისიის თავმჯდომარის მოადგილესაც.

იმ სასოფლო საბჭოებში, სადაც დეპუტატთა შემადგენლობა მცირერიცხოვანია, მუდმივი კომისიები, როგორც გამონაკლისი, შეიძლება არჩეულ იქნენ თავმჯდომარისა და კომისიის ორი წევრის შემადგენლობით.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ დეპუტატები, რომლებიც შედიან ამ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში, აგრეთვე დეპუტატები, რომლებიც არიან საქალაქო სასამართლოს წევრები, სახალხო მოსამართლეები, ქალაქის, რაიონის პროკურორი, ხოლო საოლქო საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში — აგრეთვე დეპუტატები, რომლებიც შედიან სახალხო კონტროლის საოლქო კომიტეტის, საოლქო სასამართლოს შემადგენლობაში, და ოლქის პროკურორი.

**მუხლი 5.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებს ხელმძღვანელობს მათი ამრჩევი საბჭო.

საბჭოს მუდმივი კომისიები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან მათი ამრჩევი საბჭოს წინაშე. ისინი პერიოდულად ანგარიშს აბარებენ საბჭოს თავიანთი საქმიანობის შესახებ.

მუდმივი კომისიების გადაწყვეტილება შეიძლება შეცვალოს მისმა ამრჩევმა საბჭომ.

**მუხლი 6.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები თავიანთ მუშაობას აგებენ საკითხების კოლექტიური, თავისუფალი, საქმიანი განხილვისა და გადაწყვეტის, საჯაროობისა და მუდმივი კომისიების წევრთა ფართო ინიციატივის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი კომისიები თავიანთ საქმიანობას ეწევიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და შრომით კოლექტივებთან მჭიდრო კავშირში, მუშაობაში აბამენ მოქალაქეებს, სწავლობენ და ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს.

მუდმივი კომისიები ურთიერთმოქმედებენ სახალხო კონტროლის ორგანოებთან.

**მუხლი 7.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები:

1) კოორდინაციას უწევენ მუდმივი კომისიების მუშაობას, იზიდავენ მათ საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი საკითხების მოსამზადებლად, აგრეთვე ორგანიზატორული მუშაობის ჩასატარებლად საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის;

2) აცნობენ მუდმივ კომისიებს ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების დადგენილებებს, საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებს, სამუშაო გეგმებსა და დასახულ ამოცანებს;

3) შეისწავლიან, განაზოგადებენ და ავრცელებენ მუდმივი კომისიების მუშაობის გამოცდილებას;

4) იწვევენ აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე იმ მუდმივი კომისიების წარმომადგენლებს, რომელთა საქმიანობას ეხება განსახილველი საკითხები;

5) ყოველმხრივ დახმარებას უწევენ მუდმივ კომისიებს აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებისა და სამმართველოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობის შემოწმებაში;

6) პერიოდულად შეაქვთ საბჭოს განსახილველად საკითხები ცალკეული მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ;

7) განიხილავენ მუდმივი კომისიების მიერ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში შეტანილ წინადადებებს და განხილვის შედეგებს აცნობებენ კომისიებს;

8) უზრუნველყოფენ მუდმივი კომისიების ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას და მათი საქმისწარმოების შენახვას.

მუდმივი კომისიების წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სათათბირო ხმის უფლებით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებში.

**მუხლი 8.** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო ქმნის:

სამანდატო კომისიას; საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას; სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიას; აგრეთვე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებზე შეუძლია შექმნას: მრეწველობის; ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის; მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის; სოფლის მეურნეობის; სახალხო განათლებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის; ახალგაზრდობის საქმეთა; ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის; ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების; საბინაო, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის; საგზაო მეურნეობის; ბუნების დაცვის; ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუდმივი კომისიები.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო ქმნის:

სამანდატო კომისიას; საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას; სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიას; ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას; აგრეთვე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებზე შეუძლია შექმნას: სოფლის მეურნეობის; მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის; მშენებლობის; სახალხო განათლებისა და კულტურის; ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების; ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის; ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების; საბინაო, კომუნალური, საგზაო მეურნეობისა და კეთილმოწყობის; ბუნების დაცვის მუდმივი კომისიები.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოები ქმნიან:

სამანდატო კომისიას; საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას; სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიას; ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას; აგრეთვე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებზე შეუძლიათ შექმნან: სოფლის მეურნეობის; მრეწველობის; ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის; მშენებლობის; სახალხო განათლებისა და კულტურის; ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების; ჯანმრთელობის დაცვის; სოციალური უზრუნველყოფის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის; ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების; საბინაო, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის; ბუნების დაცვის მუდმივი კომისიები.

სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოები ქმნიან:

სამანდატო კომისიას; საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას; სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიას; აგრეთვე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებზე შეუძლიათ შექმნან: სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის; მშენებლობის; საბინაო, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის; სახალხო განათლებისა და კულტურის; ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის; ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიები.

საჭიროების შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიათ შექმნან სხვა მუდმივი კომისიებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. მუდმივი კომისიების გამგებლობის საკითხები

**მუხლი 9.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების გამგებლობის საკითხებს, უფლებებსა და მოვალეობებს, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავენ საქართველოს სსრ კონსტიტუცია, საქართველოს სსრ კანონი სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს შესახებ, ეს დებულება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტები.

**მუხლი 10.** სამანდატო კომისია:

1) ამოწმებს საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილებას და საბჭოს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, ხოლო არჩევნების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში — ცალკეულ დეპუტატთა არჩევნების ბათილად ცნობის თაობაზე;

2) ამზადებს და საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შეაქვს წინადადებანი გამოკლებულთა ნაცვლად საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ჩატარების საკითხებზე;

3) საბჭოს დავალებით ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის რეკომენდაციით ამზადებს წინადადებებს დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;

4) ამზადებს დასკვნებს იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დეპუტატის ხელშეუხებლობასა და დეპუტატის საქმიანობის სხვა გარანტიებთან ან ამომრჩეველთა მიერ დეპუტატის გაწვევასთან.

**მუხლი 11.** საგეგმო-საბიუჯეტო კომისია:

1) წინასწარ განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს, ანგარიშებს მათი შესრულების შესახებ და იძლევა მათზე თავის დასკვნებს;

2) წინასწარ განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ ბიუჯეტს, ანგარიშს მისი შესრულების შესახებ და იძლევა მათზე თავის დასკვნებს;

3) განიხილავს და ათანხმებს საბჭოს სხვა მუდმივი კომისიებისაგან შემოსულ შენიშვნებსა და წინადადებებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის და გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების თაობაზე;

4) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

5) ეწევა მუშაობას შიდასამეურნეო რეზერვებისა და ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლის გამოვლენისა და სახელმწიფო სახსრების ხარჯვისას მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისათვის;

6) ახორციელებს კონტროლს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულებისადმი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

7) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში;

8) მონაწილეობს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი სხვა საგეგმო და საბიუჯეტო-საფინანსო საკითხების მომზადებაში.

**მუხლი 12.** სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისია:

1) მონაწილეობს სოციალისტური კანონიერების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

2) მონაწილეობს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში სოციალისტური კანონიერების დაცვის, მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებების, საჩივრების განხილვის მდგომარეობისა და მათი მიღების ორგანიზაციის შემოწმებაში;

3) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

4) დახმარებას უწევს მუშაობაში ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეულებს, ამხანაგურ სასამართლოებსა და წესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტებს;

5) მონაწილეობს მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

6) მონაწილეობს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის, წარმოებისა და ყოფა-ცხოვრების მაღალი კულტურისათვის შრომითი კოლექტივებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობის მოძრაობის ორგანიზაციასა და განვითარებაში;

7) მონაწილეობს სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობისადმი კონტროლის განხორციელებაში;

8) მონაწილეობს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში, დასახლებულ პუნქტებში ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებისა და წესების დაცვისადმი კონტროლის განხორციელებაში; ხელს უწყობს მუშაობაში ნებაყოფლობით სახანძრო რაზმებს;

9) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებელ ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური, საოლქო დაქვემდებარების ქალაქის), ქალაქის რაიონული საბჭოს სოციალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისია იძლევა დასკვნებს საბჭოს იმ გადაწყვეტილებათა პროექტებზე, რომლებიც ითვალისწინებენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის.

**მუხლი 13.** ახალგაზრდობის საქმეთა კომისია:

ამზადებს და საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეაქვს გადაწყვეტილებათა პროექტები და სხვა წინადადებები ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების, პროფესიული სწავლების, შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის, სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში მისი მონაწილეობის საკითხებზე;

2) წინასწარ განიხილავს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დასკვნისათვის გადაცემულ გადაწყვეტილებათა პროექტებს კომისიის გამგებლობის საკითხებზე და ამზადებს შესაბამის დასკვნებს;

3) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის და გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების წინასწარ განხილვაში, შეაქვს მათ გამო თავისი შენიშვნები და წინადადებები;

4) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

5) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით ახორციელებს კონტროლს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის დასაცავად აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებების და სამმართველოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობისადმი;

6) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

**მუხლი 14.** ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების კომისია:

1) ამზადებს და საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეაქვს გადაწყვეტილებათა პროექტები და სხვა წინადადებები ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, დედისა და ბავშვის დაცვის, სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში ქალთა მონაწილეობის საკითხებზე;

2) წინასწარ განიხილავს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ კომისიის გამგებლობის საკითხებზე დასკვნისათვის გადაცემულ გადაწყვეტილებათა პროექტებს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს;

3) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის და გეგმებისა

ბიბლიოთეკა

და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების წინასწარ განხილვაში, შეაქვს მათ გამო თავისი შენიშვნები და წინადადებანი;

4) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

5) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით ახორციელებს კონტროლს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის დასაცავად აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებების და სამმართველოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობისადმი;

6) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

**მუხლი 15.** მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისია:

1) მონაწილეობს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი საკითხების მომზადებაში, რომლებიც დაკავშირებულია მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებასთან:

2) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის და გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების წინასწარ განხილვაში, შეაქვს მათ გამო თავისი შენიშვნები და წინადადებები;

3) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

4) მონაწილეობს საბჭოსადმი დაქვემდებარებული სამრეწველო საწარმოების მუშაობისადმი კონტროლის განხორციელებაში მათთვის დაწესებული საწარმოო-საფინანსო გეგმების შესასრულებლად, წარმოების ეფექტიანობისა და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად, მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების გამოსაყენებლად, შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად;

5) მუშაობას ეწევა ადგილობრივი მრეწველობის განვითარების დამატებითი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოსავლინებლად; ხელს უწყობს წარმოების გაფართოებას და სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების ხარისხის ამაღლებას, ადგილობრივი ნედლეულის, სათბობისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენების დამატებით გამოვლენილი რესურსების გამოყენებას, ხალხური მხატვრული რეწვისა და ხელოსნობის ახალი საწარმოების ორგანიზაციას და მოქმედთა განვითარებას;

№ 5
ეროვნული
ბიბლიოთეკა

6) მონაწილეობს საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში, შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებაში, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაში;

7) ახორციელებს კონტროლს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების საქმიანობისადმი, საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესების, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის დაცვისადმი; ხელს უწყობს მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესებას;

8) ახორციელებს კონტროლს მოსახლეობის მომსახურებისათვის საბჭოსადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საწარმოების, აგრეთვე ზემდგომი დაქვემდებარების სატრანსპორტო საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი;

9) ახორციელებს კონტროლს მოსახლეობის მომსახურებისათვის კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობისადმი; ხელს უწყობს სატელეფონო და საფოსტო კავშირის, რადიოფიკაციისა და ტელევიზიის განვითარებას;

10) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

**მუხლი 16** მშენებლობის კომისია:

1) მონაწილეობს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი საკითხების მომზადებაში, რომლებიც დაკავშირებულია მშენებლობისა და სამშენებლო მასალების მრეწველობის განვითარებასთან;

2) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის და გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების წინასწარ განხილვაში, შეაქვს მათ გამო თავისი შენიშვნები და წინადადებები;

3) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

4) ახორციელებს კონტროლს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების საქმიანობისადმი, საბჭოს ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობისადმი; ხელს უწყობს სამშენებლო საწარმოებსა და ორგანიზაციებს საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებაში, სამშენებლო ობიექტების საექსპლოატაციოდ დროულად გადაცემაში, მშენებლობაში პროგრესული მეთოდების დანერგვაში, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებასა და ღირებულების შემცირებაში;

5) მუშაობას ეწევა მშენებლობაში დამატებითი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად; თვალყურს ადევნებს სამშენებლო საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამშენებლო მექანიზმებისა და საწარმოო სიმძლავრეების სწორად გამოყენებას, სამშენებლო მასალების, ელექტროენერგიისა და სათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობის მომჭირნედ ხარჯვას; მონაწილეობს სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში, შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებაში, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაში; ხელს უწყობს მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას;

6) ახორციელებს კონტროლს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ სამშენებლო საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვისადმი;

7) მონაწილეობს რაიონის დაგეგმარების სქემისა და პროექტის, ქალაქის გენერალური გეგმის პროექტის, სხვა დასახლებული პუნქტების, გარეუბნის ზონის, მიკრორაიონების, ქალაქთსამშენებლო კომპლექსების დაგეგმარების პროექტის განხილვაში, თვალყურს ადევნებს მშენებლობისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთების სწორ გამოყენებას, დასახლებული პუნქტების განაშენიანების წესების დაცვას;

8) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

17293

**მუხლი 17.** სოფლის მეურნეობის კომისია:

1) მონაწილეობს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი საკითხების მომზადებაში, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის განვითარებასთან;

2) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის და გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების წინასწარ განხილვაში, შეაქვს მათ გამო თავისი შენიშვნები და წინადადებები;

3) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

4) მუშაობას ეწევა სოფლის მეურნეობის განვითარების დამატებითი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად; ხელს უწყობს წარმოების გადიდებას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას, მიწის სავარგულების სწორად გამოყენებას, მიწების ამოშრობასა და მორწყვას, სარეველებსა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეების დაავადებებთან ბრძოლას, სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესებას, სწორი თესლბრუნვის შემოღებას და ათვისებას, ყველა სახის ორგანული და მინერალური სასუქების ეფექტიანად გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას;

5) ხელს უწყობს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას, საქონლის ჯიშიანობის გაუმჯობესებას, საკვები ბაზის გაფართოებას, მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობას,

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, ზოოტექნიკური და ვეტერინარული სამსახურის გაუმჯობესებას;

6) ხელს უწყობს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ეკონომიკური და საფინანსო მუშაობის სრულყოფას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, შიდასამეურნეო ანგარიშსწორების დანერგვას, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების ეფექტიანად გამოყენებას; კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპების დაცვას;

7) მონაწილეობს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ გეგმებისა და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა დროულად შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებაში;

8) მონაწილეობს სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში, შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებაში, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაში;

9) ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ტრანსპორტის, საწვავის, შხამქიმიკატებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და მოვლა-შენახვისადმი, უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვისადმი;

10) ახორციელებს კონტროლს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების საქმიანობისადმი, კოლმეურნეობებისა და სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) წესდებების, კოლმეურნეობების საქმეთა მართვის დემოკრატიული საფუძვლების დაცვისადმი;

11) მონაწილეობს ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც მიმართულია საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დამხმარე მეურნეობებში, აგრეთვე კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გასადიდებლად;

12) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

**მუხლი 18.** სახალხო განათლებისა და კულტურის კომისია:

1) მონაწილეობს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი საკითხების მომზადებაში, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარებასთან;

2) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის და გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების წინასწარ განხილვაში, შეაქვს მათ გამო თავისი შენიშვნები და წინადადებები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

4) ახორციელებს კონტროლს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, სახალხო განათლებისა და კულტურის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი;

5) ხელს უწყობს ახალგაზრდობის საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელებას, წარმოებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებას, შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებას, აგრეთვე საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული უმაღლესი, საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მუშაობას;

6) მონაწილეობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სასკოლო სახელმძღვანელოებით უფასო უზრუნველყოფისადმი, სოფლად მცხოვრები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სკოლამდე და სკოლიდან უფასოდ მგზავრობის, მოსწავლეთა შრომითი მეცადინეობის ადგილამდე უფასოდ მიყვანის უზრუნველყოფისადმი, აგრეთვე სკოლებთან საყოველთაო სწავლების ფონდის შექმნისა და მისი სწორად გამოყენებისადმი კონტროლის განხორციელებაში;

7) მონაწილეობს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვასა და არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის ასაცილებლად მუშაობის ორგანიზაციაში;

8) ხელს უწყობს მუშაობის ჩატარებას სკოლებში, სხვა სასწავლებლებსა და ბავშვთა დაწესებულებებში მოსწავლეთა ესთეტიკური, ფიზიკური და შრომითი აღზრდისათვის, აგრეთვე მოსწავლეებთან სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზაციას;

9) მონაწილეობს მასწავლებლებისა და კულტურის დაწესებულებათა მუშაკებისათვის სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისადმი კონტროლის განხორციელებაში;

10) მონაწილეობს განათლების, კულტურის დაწესებულებათა ქსელის განლაგებისა და მათი შენობების სწორი გამოყენებისადმი კონტროლის განხორციელებაში; ხელს უწყობს მოსახლეობის კინომომსახურებას, კინოქსელის გაფართოებას, ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას;

11) მონაწილეობს კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობისადმი კონტროლის განხორციელებაში, იღებს ზომებს მათი მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად;

12) მონაწილეობს შრომით კოლექტივებსა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში, ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების ჩატარებაში; ხელს უწყობს ყოფა-ცხოვრებაში საბჭოთა სამოქალაქო წეს-ჩვეულებების დანერგვას, საზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

13) მონაწილეობს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების კულტფონდების სახსრების გამოყენებისადმი, კულტურის დაწესებულებათა შენობების დროულად შეკეთებისადმი, მათი საჭირო ინვენტარითა და სათბობით უზრუნველყოფისადმი, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენებისადმი კონტროლის განხორციელებაში;

14) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

**მუხლი 19.** ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისია:

1) მონაწილეობს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი საკითხების მომზადებაში, რომლებიც დაკავშირებულია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განვითარებასთან;

2) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის და გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების წინასწარ განხილვაში, შეაქვს მათ გამო თავისი შენიშვნები და წინადადებები;

3) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

4) ახორციელებს კონტროლს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებების საქმიანობისადმი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა მუშაობისადმი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის შესრულებისადმი;

5) ხელს უწყობს ღონისძიებათა ჩატარებას საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების მოვლა-პატრონობის სანიტარიული წესების დაცვისა და დასახლებული პუნქტების ჯეროვანი სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველსაყოფად, მოსახლეობაში სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაციისათვის;

6) მონაწილეობს გარემოს გაჯანსაღების, წყალსატევების, ნიადაგისა და ატმოსფერული ჰაერის სანიტარიული დაცვის უზრუნველყოფის წესების შესრულებისადმი, ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების, აგრეთვე მათი ლიკვიდაციის ღონისძიებათა დროულად ჩატარებისადმი კონტროლის განხორციელებაში;

7) ხელს უწყობს დედისა და ბავშვის დაცვას, ბავშვთა და მოზარდთა შორის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარებას; მონაწილეობს ბავშვებისა და მოზარდებისათვის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

8) მონაწილეობს საწარმოო, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში, ეზოებში, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და მოედნებზე ხმაურის თავიდან აცილების, ინტენსივობის შემცირებისა და აღმოფხვრის ღონისძიებათა ჩატარებისადმი კონტროლის განხორციელებაში;

9) ხელს უწყობს მასობრივი დასვენების ზონების განვითარებას, მათ აღჭურვასა და კეთილმოწყობას, მონაწილეობს ამ ზონების გამოყენებისადმი კონტროლის განხორციელებაში;

10) მონაწილეობს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისადმი კონტროლის განხორციელებაში;

11) მონაწილეობს კანონმდებლობით დაწესებული პენსიებისა და დახმარების დროული და სწორი დანიშვნისა და გაცემისადმი, აგრეთვე ომისა და შრომის ინვალიდებისათვის, სამხედრო მოსამსახურეთა, დაღუპულ მეომართა და პარტიზანთა ოჯახების, დიდი სამამულო ომის მონაწილეების, პენსიონერების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებისა და უპირატესობების მინიჭებისადმი კონტროლის განხორციელებაში და ხელს უწყობს მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

12) მონაწილეობს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში შრომის წიგნაკებისა და მუშაობის სტაჟის შესახებ სხვა დოკუმენტაციის სწორად წარმოებისადმი კონტროლის განხორციელებაში;

13) ხელს უწყობს ინვალიდების, პენსიონერების, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთა, დაღუპულ მეომართა და პარტიზანთა ოჯახების შრომით მოწყობას;

14) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

**მუხლი 20.** ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების კომისია:

1) მონაწილეობს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი საკითხების მომზადებაში, რომლებიც დაკავშირებულია ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარებასთან;

2) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის და გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების წინასწარ განხილვაში, შეაქვს მათ გამო თავისი შენიშვნები და წინადადებები;

3) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

4) ხელს უწყობს სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარებას, საქონელბრუნვაში სამრეწველო და სასურსათო საქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ადგილობრივი რესურსების ჩართვას, მომსახურების კულტურის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებას, ვაჭრობის ახალი ფორმების დანერგვას;

5) ახორციელებს კონტროლს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების საქმიანობისადმი, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობისადმი; აკონტროლებს, რომ სავაჭრო ქსელში იყოს საქონლის სავალდებულო ასორტიმენტის მინიმუმი, სავაჭრო ქსელში საქონელი სწორად იქნეს განაწილებული და შეზიდული სეზონის მოთხოვნის გათვალისწინებით; ახორციელებს კონტროლს ფასების, ვაჭრობის წესების დაცვისადმი, ზომა-წონის ხელსაწყოების მდგომარეობისადმი,, აგრეთვე სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, ორგანიზაციებში, ბაზებსა და სხვა სავაჭრო ადგილებში სანიტარიული წესების დაცვისადმი;

6) ხელს უწყობს სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის გაფართოებას საკომისიო საწყისებზე; მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, გარეული ხილისა და კენკრის შესყიდვის, შენახვის, გადამუშავებისა და გაყიდვისათვის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობისადმი კონტროლის განხორციელებაში;

7) მონაწილეობს სამომხმარებლო საზოგადოებათა წესდებების, სამომხმარებლო კოოპერაციის საქმეთა მართვის დემოკრატიული საფუძვლების დაცვისადმი კონტროლის განხორციელებაში;

8) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

მუხლი 21. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისია:

1) მონაწილეობს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი საკითხების მომზადებაში, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებასთან;

2) მონაწილეობს კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის და გეგმების და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების წინასწარ განხილვაში, შეაქვს მათ გამო თავისი შენიშვნები და წინადადებები;

3) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

4) ხელს უწყობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებას, მომსახურების კულტურის ამაღლებას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ფორმებისა და სახეების დანერგვას;

5) ახორციელებს კონტროლს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოების საქმიანობისადმი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობისადმი, მათ მიერ საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისადმი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხისა და მომსახურების პრეისკურანტის სწორად გამოყენებისადმი;

ეროვნული ბიბლიოთეკა 123

6) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

**მუხლი 22.** საბინაო, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის კომისია:

1) მონაწილეობს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი საკითხების მომზადებაში, რომლებიც დაკავშირებულია საბინაო, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის განვითარებასთან;

2) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის და გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების წინასწარ განხილვაში, შეაქვს მათ გამო თავისი შენიშვნები და წინადადებები;

3) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

4) ხელს უწყობს საბინაო, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის განვითარებას, მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლებას, საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციების, საწარმოებისა და კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას, საცხოვრებელი ფონდის დაცვისა და სათანადოდ გამოყენების უზრუნველყოფას;

5) ახორციელებს კონტროლს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, საბინაო, კომუნალური მეურნეობის და კეთილმოწყობის საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი, საბინაო ფონდის, კომუნალური საწარმოებისა და ნაგებობების მდგომარეობისა და სწორი ექსპლოატაციისადმი, ტერიტორიების კეთილმოწყობისადმი, კოოპერაციული საცხოვრებელი სახლებისა და მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობისადმი.

6) მონაწილეობს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის, მწვანე ნარგავების ფართოდ გაშენებისა და დაცვისათვის სამუშაოდ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიზიდვაში, ყოველმხრივ უწყობს ხელს კეთილმოწყობისა და გამწვანების საქმეში საზოგადოებრივი ინიციატივის განვითარებას;

7) მუშაობას ეწევა საბინაო, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის განვითარების დამატებითი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად;

8) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

**მუხლი 23.** საგზაო მეურნეობის კომისია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) მონაწილეობს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი საკითხების მომზადებაში, რომლებიც დაკავშირებულია საავტომობილო გზების მშენებლობასთან, რემონტსა და მოვლა-პატრონობასთან;

2) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის და გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების წინასწარ განხილვაში, შეაქვს მათ გამო თავისი შენიშვნები და წინადადებები;

3) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

4) მუშაობას ეწევა ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლა-პატრონობის განვითარების დამატებითი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად; ხელს უწყობს კანონმდებლობით დადგენილი წესით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიზიდვას ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილეობისათვის;

5) ახორციელებს კონტროლს საავტომობილო გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლა-პატრონობისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობისადმი;

6) მონაწილეობს ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის, რემონტის, მოვლა-პატრონობისა და გამწვანებისათვის საზოგადოებრიობის მისაზიდად ორგანიზატორული მუშაობის ჩატარებაში;

7) მონაწილეობს მოსახლეობაში გზების ექსპლოატაციის, საგზაო ნაგებობებისა და მწვანე ნარგავების დაცვის წესების განმარტებისათვის მუშაობის ჩატარებაში;

8) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

**მუხლი 24.** ბუნების დაცვის კომისია:

1) მონაწილეობს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი ბუნების დაცვის საკითხების მომზადებაში;

2) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის და გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების წინასწარ განხილვაში, შეაქვს მათ გამო თავისი შენიშვნები და წინადადებები;

3) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

4) მონაწილეობს ბუნების დაცვის ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელებაში;

5) ხელს უწყობს გარემოს დაცვის, რაციონალური გამოყენების, ბუნებრივი რესურსების და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და აღდგენის ღონისძიებათა ჩატარებას;

6) აკონტროლებს მიწათმოსარგებლეთა მიერ ნიადაგის ეროზიით დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლისა და ნიადაგის მდგომარეობის გამაუარესებელი სხვა პროცესების აცილების, მინდორსაცავი ტყის ნარგავების შექმნის ღონისძიებათა განხორციელებას;

7) ახორციელებს კონტროლს წყლებით სარგებლობის, მათი გაბინძურების, დანაგვიანების, დაშრობისაგან დაცვის დადგენილი წესისა და წყლის კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესების შესრულებისადმი;

8) ახორციელებს კონტროლს ტყეების გამოყენებისა და დაცვისადმი, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ ტყით სარგებლობის დადგენილი წესის, სატყეო მეურნეობის გაძღოლის, ტყის კვლავწარმოების წესების დაცვისადმი;

9) ხელს უწყობს ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში, ბუნებრივ მწვანე ზონებსა და საკურორტო ადგილებში მწვანე ნარგავების გამრავლებასა და შენარჩუნებას, ტიპური ლანდშაფტებისა და ბუნების ძეგლების (პარკების, საუკუნოვანი ხეების, ლოდებისა და სხვ.) დაცვას, რომლებიც ძვირფასია სამეცნიერო და კულტურულ-შემეცნებითი თვალსაზრისით;

10) ახორციელებს კონტროლს წიაღისეულის გამოყენებისა და დაცვის დარგში კანონმდებლობის შესრულებისადმი, წიაღისეულით სარგებლობისას დარღვეული მიწის ნაკვეთების გავარგისებისადმი მათი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად;

11) მონაწილეობს მოსახლეობაში ბუნებისადმი მზრუნველი დამოკიდებულებისათვის, ბუნების დაცვის საქმეში საზოგადოებრიობის მიზიდვისათვის ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებაში;

12) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

**მუხლი 25.** ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომისია:

1) მონაწილეობს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი საკითხების მომზადებაში, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებასთან;

2) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის და გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების წინასწარ განხილვაში, შეაქვს მათ გამო თავისი შენიშვნები და წინადადებები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) კომისიის გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ორგანიზატორულ მუშაობაში;

4) ხელს უწყობს მოსახლეობის ფიზიკური მომზადების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის განხორციელებას, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ყოველმხრივ განვითარებას, სპორტულ ნაგებობათა მშენებლობასა და ეფექტიანად გამოყენებას, სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობის წარმოებას;

5) ხელს უწყობს სპორტულ საზოგადოებებსა და ორგანიზაციებს სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა ჩატარებაში, შრომით კოლექტივებში და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას სპორტული მუშაობის ორგანიზაციაში; მონაწილეობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდაში;

6) მონაწილეობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ორგანოების საქმიანობისადმი, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების მდგომარეობისადმი, სპორტული ნაგებობებისა და შენობების მშენებლობისადმი, ამ მიზნებისათვის, აგრეთვე ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის ასიგნებული სახსრების გამოყენებისადმი კონტროლის განხორციელებაში;

7) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის მომზადებაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაციასა და მათი რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

**მუხლი 26.** რამდენიმე მუდმივი კომისიის გამგებლობის საკითხები კომისიების ინიციატივით, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოს დავალებით ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის რეკომენდაციით კომისიებმა შეიძლება ერთობლივად მოამზადონ და განიხილონ.

მუდმივ კომისიას მის მიერ განსახილველ საკითხებზე შეუძლია აზრი გამოჰკითხოს სხვა მუდმივ კომისიებს.

**მუხლი 27.** თუ მუდმივ კომისიას მიაჩნია, რომ მისთვის განსახილველად გადაცემული საკითხი სხვა მუდმივი კომისიის გამგებლობასაც განეკუთვნება, ანდა საჭიროდ თვლის გამოთქვას თავისი აზრი სხვა კომისიის მიერ განსახილველ საკითხზე, მას უფლება აქვს შეიტანოს წინადადება ამის შესახებ სახალხო დეპუტატთა საბჭოში ან მის აღმასრულებელ კომიტეტში.

მუდმივ კომისიას სხვა მუდმივი კომისიების თხოვნით შეუძლია თავისი გამგებლობის საკითხებზე მონაწილეობა მიიღოს ამ კომისიების მიერ განსახილველი საკითხების მომზადებაში.

### III. მუდმივი კომისიების უფლებები და მოვალეობები

**მუხლი 28.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და მისი აღმასრულებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის განსახილველად შეიტანონ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის შესაბამისი საკითხები.

**მუხლი 29.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებს შეუძლიათ გამოვიდნენ საბჭოს სესიებსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე მოხსენებებითა და თანამოხსენებებით თავიანთი გამგებლობის საკითხებზე.

მუდმივი კომისიები მათ მიერ საბჭოში ან მის აღმასრულებელ კომიტეტში შეტანილ საკითხებზე, ანდა კომისიებისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემულ საკითხებზე გამოყოფენ თავიანთ მომხსენებლებსა და თანამომხსენებლებს.

მუდმივი კომისიების მიერ ერთობლივად მომზადებულ საკითხებზე კომისიებს შეუძლიათ გამოვიდნენ ერთობლივი მოხსენებებითა და თანამოხსენებებით ან ცალ-ცალკე წარმოადგინონ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები.

**მუხლი 30.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ შეიტანონ საბჭოში ან მის აღმასრულებელ კომიტეტში წინადადებანი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტების მოქალაქეთა განსახილველად გამოტანის შესახებ.

განხილვის მსვლელობაში საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტების შესახებ შემოსულ წინადადებებს განიხილავენ და განაზოგადებენ საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი წესით და მოახსენებენ საბჭოს სესიაზე გადაწყვეტილების პროექტის განხილვისას.

**მუხლი 31.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებს მათი გამგებლობის საკითხებზე უფლება აქვთ თავიანთ სხდომებზე მოისმინონ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებები და ინფორმაციები.

მუდმივი კომისიის წინადადებით აღნიშნული ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და ხელმძღვანელები ვალდებული არიან გამოცხადდნენ კომისიის სხდომაზე და წარმოადგინონ განმარტებანი კომისიის მიერ განსახილველ საკითხებზე. ამასთან მუდმივი კომისიები წინასწარ ატყობინებენ შესაბამის ორგანოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს საკითხების მომავალი განხილვის შესახებ.

**მუხლი 32.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ თავიანთი გამგებლობის საკითხებზე მოსთხოვონ შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებს დოკუმენტები, წერილობითი დასკვნები, საანგარიშგებო მონაცემები და სხვა მასალები.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი ვალდებული არიან მუდმივ კომისიებს წარმოუდგინონ საჭირო მასალები და დოკუმენტები.

**მუხლი 33.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების რეკომენდაციები ეგზავნებათ შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებს.

მუდმივი კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ შესაბამისმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და სხვა ორგანიზაციებმა. განხილვის შედეგების ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს კომისიებს არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში, ხოლო რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების კომისიებს — არა უგვიანეს ორი კვირის ვადაში, ანდა კომისიების მიერ დადგენილ სხვა ვადაში.

**მუხლი 34.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ შეკითხვის წესით მიმართონ აღმასრულებელ კომიტეტს, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებს, აგრეთვე საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შესაბამისი საბჭოს გამგებლობის საკითხებზე.

სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელსაც მუდმივი კომისიის მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხი ეხება, ვალდებულია შეკითხვაზე ზეპირი ან წერილობითი პასუხი გასცეს საბჭოს სესიაზე, ხოლო თუ პასუხის მოსამზადებლად საჭიროა მეტი დრო, — საბჭოს მიერ დანიშნულ ვადაში, ამასთან სესიაზე აუცილებლად უნდა გაკეთდეს განცხადება ამის შესახებ.

**მუხლი 35.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ თავიანთ მუშაობაში მიიზიდონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მეცნიერები.

**მუხლი 36.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების წევრები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ კომისიების საქმიანობაში, ხელი შეუწყონ მათი გადაწყვეტილებების განხორციელებას, შეასრულონ კომისიების დავალებები.

მუდმივი კომისიის წევრებს კომისიის გამგებლობის საკითხებზე შეიძლება მიეცეთ მუდმივი დავალებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი კომისიის წევრები სარგებლობენ გადამწყვეტი ხმით კომისიის ყველა განსახილველ საკითხზე, მათ უფლება აქვთ დააყენონ საკითხები მუდმივი კომისიის განსახილველად და მონაწილეობა მიიღონ მათს მომზადებასა და განხილვაში; საბჭოს გამგებლობის საკითხებზე შეიტანონ წინადადებანი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების საჭიროების შესახებ, კომისიის სხდომაზე მათი ანგარიშების ან ინფორმაციების მოსმენის თაობაზე.

მუდმივი კომისიის წევრს, რომლის წინადადებებსაც კომისიამ მხარი არ დაუჭირა, შეუძლია შეიტანოს ისინი წერილობითი ან ზეპირი ფორმით საბჭოში ან მის აღმასრულებელ კომიტეტში ამ საკითხის განხილვისას.

კომისიის წევრს უზრუნველყოფილი აქვს პირობები კომისიის განსახილველი ყველა საკითხის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, ეძლევა ამისათვის საჭირო დოკუმენტები და სხვა მასალები.

**მუხლი 37.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების წევრები კომისიის დავალებით და თავიანთი ინიციატივით ადგილებზე სწავლობენ კომისიის გამგებლობის საკითხებს, განაზოგადებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა წინადადებებს, თავიანთ დასკვნებსა და წინადადებებს აცნობებენ კომისიას.

**მუხლი 38.** სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მუდმივი კომისიის წევრი იმ კომისიის სხდომის დროს, რომლის შემადგენლობაშიც იგი არის არჩეული, და მისი დავალებების შესასრულებლად თავისუფლდება თავისი საწარმოო ან სამსახურეობრივ მოვალეობათა შესრულებისაგან და ენახება საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიის წევრი იმ კომისიის სხდომის დროს, რომლის შემადგენლობაშიც იგი არის არჩეული, თავისუფლდება თავის საწარმოო ან სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან და ენახება საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

### VI მუდმივი კომისიების მუშაობის წესი

**მუხლი 39.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები მუშაობენ კომისიების სხდომებზე დამტკიცებული გეგმებით.

**მუხლი 40.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების სხდომებს იწვევენ საჭიროებისდა მიხედვით, მაგრამ ორ თვეში ერთხელ მაინც.

მუდმივმა კომისიებმა შეიძლება ჩაატარონ გამსვლელი სხდომები.

**მუხლი 41.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების სხდომები უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაში, თუ სხდომაზე ჩამოსვლა არ შეუძლია, კომისიის წევრი ამის შესახებ ატყობინებს კომისიის თავმჯდომარეს.

**მუხლი 42.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებში ყველა საკითხი წყდება კომისიის წევრთა საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით.

რამდენიმე მუდმივი კომისიის ერთობლივი სხდომის ჩატარებისას გადაწყვეტილება მიიღება თითოეული კომისიის წევრთა საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით.

**მუხლი 43.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საბჭოს დეპუტატებს, რომლებიც არ შედიან ამ კომისიის შემადგენლობაში.

**მუხლი 44.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების სხდომებზე შეიძლება მოიწვიონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მეცნიერები, რომლებიც სხდომებში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

საჭიროების შემთხვევაში მუდმივ კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დახურული სხდომის ჩატარების შესახებ.

**მუხლი 45.** სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების მუდმივ კომისიებს შეუძლიათ განახორციელონ გარკვეული ღონისძიებანი ქვემდგომი საბჭოების თანამოსახელე მუდმივ კომისიებთან ერთად.

**მუხლი 46.** მუდმივი კომისიის თავმჯდომარე:

იწვევს კომისიის სხდომას და ორგანიზაციას უწევს სხდომებისათვის საჭირო მასალების მომზადებას;

აძლევს დავალებებს კომისიის წევრებს, უგზავნის მათ კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ მასალებსა და დოკუმენტებს;

იწვევს კომისიის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს;

თავმჯდომარეობს კომისიის სხდომებს;

წარმომადგენლობს კომისიას სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

ორგანიზაციას უწევს მუშაობას კომისიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

ინფორმაციას აწვდის საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს კომისიის მიერ განხილული საკითხების, აგრეთვე კომისიის რეკომენდაციების სარეალიზაციოდ მიღებული ზომების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაციას აწვდის კომისიის წევრებს კომისიის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და მისი რეკომენდაციების განხილვის თაობაზე;

კომისიების ერთობლივ სხდომებს უძღვებიან ამ კომისიათა თავმჯდომარეები ურთიერთშეთანხმებით.

თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და ა. შ.) მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო იმ კომისიებში, სადაც არ აურჩევიათ თავმჯდომარის მოადგილე, — კომისიების ერთ-ერთი წევრი.

**მუხლი 47.** მუდმივი კომისიის გადაწყვეტილებებსა და დასკვნებს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. მუდმივი კომისიების მიერ ერთობლივად მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მათ მიერ ერთობლივად მომზადებულ დასკვნებს ხელს აწერენ შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები.

მუდმივი კომისიის სხდომათა ოქმებს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. მუდმივი კომისიების ერთობლივ სხდომათა ოქმებს ხელს აწერენ შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები და მდივნები.

**მუხლი 48.** მუდმივი კომისიები ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებრიობას თავიანთი საქმიანობის შესახებ. მუდმივი კომისიების სხდომებზე შეიძლება მოიწვიონ პრესის, ტელევიზიის, რადიოსა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 124 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისის გოგებაშვილის № 43 და გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის №348 საარჩევნო ოლქებში დეპუტატების არჩევნების დღის შესახებ

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისის გოგებაშვილის №43 საარჩევნო ოლქსა და გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის № 348 საარჩევნო ოლქში დაინიშნოს დეპუტატების არჩევნები კვირას, 1982 წლის 20 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 5 მაისი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 125 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრად ვაჟა გიორგის ძე **ლორთქიფანიძე** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

განთავისუფლდეს ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან მერი პავლეს ასული **წიკლაური.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 12 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 126 ამხ. ვ. ს. ლუკოვკინის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ სერგის ძე **ლუკოვკინი** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 25 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 127 „საქართველოს სსრ სახალხო არქიტექტორის" საპატიო წოდების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ სახალხო არქიტექტორი".

2. საპატიო წოდება „საქართველოს სსრ სახალხო არქიტექტორი" მიენიჭებათ გამოჩენილ არქიტექტორებს, რომელთაც აქვთ საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი", განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით არქიტექტურის განვითარებაში, შექმნეს უნიკალური თანამედროვე საზოგადოებრივი, სამოქალაქო, სამრეწველო და სასოფლო არქიტექტურული კომპლექსები, შენობები და ნაგებობები, დიდი წვლილი შეიტანეს არქიტექტურისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციის საქმეში, თვალსაჩინო დამსახურება აქვთ არქიტექტურის მეცნიერებაში, აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

3. ამასთან დაკავშირებით „საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების" I განყოფილებას I პუნქტის შემდეგ დაემატოს პუნქტი „Iა. საქართველოს სსრ სახალხო არქიტექტორი", ხოლო II განყოფილებას I პუნქტის შემდეგ დაემატოს ტექსტი: „Iა. საქართველოს სსრ სახალხო არქიტექტორი — გამოჩენილ არქიტექტორებს, რომელთაც აქვთ საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი", განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით არქიტექტურის განვითარებაში, შექმნეს უნიკალური თანამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროზე საზოგადოებრივი, სამოქალაქო, სამრეწველო და სასოფლო არქიტექ-ტურული კომპლექსები, შენობები და ნაგებობები, დიდი წვლილი შეიტანეს არქიტექტურისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციის საქმეში, თვალსაჩინო დამსახურება აქვთ არქიტექტურის მეცნიერებაში, აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 27 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 128 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების I განყოფილების 22-ა პუნქტში იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხას, რომელთაც მიენიჭებათ საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი“, დაემატოს სიტყვები: „პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, პარტიულ მუშაკებს“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 27 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 129 თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, საგამოძიებო იზოლატორებში, დაკავებულთა ხანმოკლე მოთავსების ადგილებსა და სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში მოთავსებული პირებისათვის ნივთიერებების, ნივთებისა და საგნების უკანონოდ გადაცემის ან ამ პირებისაგან მათი უკანონოდ მიღებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, საგამოძიებო იზოლატორებში, დაკავებულთა ხანმოკლე მოთავსების ადგილებსა და სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში მოთავსებული პირებისათვის შრომა-გასწორების დაწესებულებებში შესანახად და გამოსაყენებლად აკრძალული ნივთიერებების, ნივთებისა და საგნების უკანონოდ, გასინჯვისაგან ფარულად გადაცემა ან გადა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცემის მცდელობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას გამასწორებელი სამუშაოების სახით ვადით ორ თვემდე მუდმივ სამუშაო ადგილზე მოხდით, ხელფასიდან ოც პროცენტამდე დაკავებით ან ჯარიმას ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, ნივთიერებების, ნივთებისა და საგნების კონფისკაციით.

2. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, საგამოძიებო იზოლატორებში, დაკავებულთა ხანმოკლე მოთავსების ადგილებსა და სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში მოთავსებული პირებისაგან შრომა-გასწორების დაწესებულებებში შესანახად და გამოსაყენებლად აკრძალული ნივთიერებების, ნივთებისა და საგნების უკანონოდ მიღება გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ჯარიმის სახით ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, ნივთიერებების, ნივთებისა და საგნების კონფისკაციით.

3. პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენაში, დაეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, თუ მათი ქმედობა თავისი ხასიათით არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

4. ამ ბრძანებულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქმეებს განიხილავს სახალხო მოსამართლე წვრილმანი ხულიგნობისათვის ადმინისტრაციული სახდელის შესახებ საქმეთა განხილვის წესით, ხოლო მეორე მუხლით გათვალისწინებული დარღვევებისათვის ჯარიმას ადებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საქმეთა განხილვის საფუძველს წარმოადგენს დადგენილი წესით შინაგან საქმეთა ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ შედგენილი ოქმი.

5. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, საგამოძიებო იზოლატორებში, დაკავებულთა ხანმოკლე მოთავსების ადგილებსა და სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში ამ ბრძანებულების პირველ მუხლში მითითებული ნივთიერებების, ნივთებისა და საგნების უკანონოდ შეღწევის თავიდან აცილების მიზნით ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციას უფლება აქვს პირადად გასინჯოს მათ ტერიტორიაზე შესული და გამოსული პირები და მათი ნივთები.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებულება „მსჯავრდებულთათვის კვების პროდუქტების, ნივთების, ფულის, სპირტიანი სასმელებისა და აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებაში გამოსაყენებლად აკრძალული საგნების უკანონოდ გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 10, მუხ. 208).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 27 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 130 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შევსოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი შემდეგი შინაარსის $203^2$ მუხლით:

„**მუხლი $203^2$.** თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, საგამოძიებო იზოლატორებში, დაკავებულთა ხანმოკლე მოთავსების ადგილებსა და სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში ნივთიერებების, ნივთებისა და საგნების გადაცემის წესების დარღვევა

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, საგამოძიებო იზოლატორებში, დაკავებულთა ხანმოკლე მოთავსების ადგილებსა და სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში მოთავსებული პირებისათვის შრომა-გასწორების დაწესებულებებში შესანახად და გამოსაყენებლად აკრძალული ნივთიერებების, ნივთებისა და საგნების უკანონოდ, გასინჯვისაგან ფარულად გადაცემა, აგრეთვე მათგან აღნიშნული ნივთიერებების, ნივთებისა და საგნების მიღება, ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში ასეთივე ქმედობისათვის ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების გამოყენების შემდეგ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე“.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის $203^2$ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლები.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 27 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 131 საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 5 მაისის ბრძანებულებისა და „საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში შემდეგი ცვლილებები:

1. მე-7, მე-8, მე-11-14, 24-ე, 37-ე, 43-ე, 45-ე, 52-ე, 54-ე, 57-ე, მე-60, 62-ე, 66-ე, 72-ე, 78-ე, 81-ე, 83-ე, 85-ე, 102-ე, 108-ე, 117-ე, 130-ე, 132-ე, 140-142-ე, 144-ე, 145-ე, 154-ე, 163-ე, 165-ე, 167-ე, 173-ე, 194-ე, 195-ე, 197-ე, 198-ე, 200-203-ე, 207-ე, 210-ე-212-ე, 215-ე, 216-ე, 220-ე, 222-224-ე, 226-228-ე და 241-ე მუხლებში სახელწოდება „პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი“ შეიცვალოს სახელწოდებით „საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტი“.

2. 238-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სამთო ზედამხედველობის კომიტეტი“ შეიცვალოს სიტყვებით „სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 28 მაისი.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 132 საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის სამართალდამცველ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი“** მიენიჭოთ:

**აბრამიანს** ისაკ ოჰანესის ძეს — ახალქალაქის რაიონის პროკურორს.

**ბარაბაძეს** ანზორ მიხეილის ძეს — საქართველოს სსრ პროკურორს.

**გათიკოევს** პეტრე სალდოს ძეს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორს.

**გოგუაძეს** ვასილ არტემის ძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანიზაციულ-საკონტროლო განყოფილების პროკურორს.

**ვარდაიას** ვიქტორ ვიქტორის ძეს — აფხაზეთის ასსრ პროკურორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თორიას** ალექსი ფილიპეს ძეს — აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

**იოსელიანს** ვლადიმერ ეფრემის ძეს — საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილეს.

**კუჭავას** ვახტანგ კონსტანტინეს ძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროს პროკურორს.

**ლელაძეს** ვახტანგ დავითის ძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს.

**ნარმანიას** კოკი თეოფანეს ძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის სტატისტიკის განყოფილების უფროსს.

**ჭანუყვაძეს** შოთა სერგოს ძეს — ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორს.

**ჭელიძეს** ნოე ფარსადანის ძეს — პერსონალურ პენსიონერს.

**ჯენიას** კონდრატე დავითის ძეს — აფხაზეთის ასსრ პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 12 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 133 ამხ. თ. შ. წერეთლისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირის განმტკიცების დარგში აქტიური მუშაობისათვის მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. თათარხან შალვას ძე **წერეთელს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“**.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 12 მაისი.

ბიბლიოთეკა

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 134 ამხ. ნ. ა. ევტუშენკოსათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ზურგის სამსახურის ინსპექტორ-ბუხჰალტერს ამხ. ნადეჟდა ანდრიას ასულ **ევტუშენკოს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურრებული ბუხჰალტერი“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 17 მაისი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 135 ამხ. ლ. ს. მახვილაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ინდუსტრიის სამშენებლო-საკონსტრუქტორო ტექნიკური ბიუროს უფროსს ამხ. ლევან სილოვანის ძე **მახვილაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ** რეწველო პალატის უფროს ეკონომისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 17 მაისი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 136 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საქართველოს მუსიკალური ხელოვნების განვითარების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

№ 5
ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი"

**თევდორაძეს** ოთარ ლავრენტის ძეს — კომპოზიტორს.
**კოკელაძეს** გრიგოლ ირაკლის ძეს — კომპოზიტორს.
**შავერზაშვილს** ალექსანდრე ვასილის ძეს — კომპოზიტორს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე"

**გეჯაძეს** ირაკლი ალექსანდრეს ძეს — კომპოზიტორს.
**დავიდოვს** შალვა გრიგოლის ძეს — კომპოზიტორს.
**კვირიკაძეს** თამარ კონსტანტინეს ასულს — მუსიკათმცოდნეს.
**ჩენგელიას** კონსტანტინე ანტონის ძეს — კომპოზიტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 25 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 137 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

პრესაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „სოვეტაკან ჰრასტანის" პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი":

**აგამიანს** მიხეილ ართავაზდის ძეს — პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.
**არაქელოვს** სერგო ხაჩიკის ძეს — სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი"

**ჩერქასოვს** ვასილ თევდორეს ძეს — ფოტოკორესპონდენტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 138 რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის განვითარების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

**ირქიტიძეს** ლამარა ვლადიმერის ასულს — საწარმოო გაერთიანება „საქ-ყოფქიმიის“ ტექნიკური განყოფილების უფროსს.

**კონცელიძეს** ლეილა გრიგოლის ასულს — ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ტექნიკური მომზადებისა და კადრებით დაკომპლექტების განყოფილების უფროსს.

**სირბილაძეს** ოთარ სევერიანეს ძეს — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის თუთიის საამქროს უფროსს.

**ტაბატაძეს** სეით ალექსანდრეს ძეს — რუსთავის ქიმიური ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილეს ტექნიკური უსაფრთხოების დარგში.

**ჩიქოვანს** ქუჩუკი დავითის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერ-კონტეინერის“ მთავარ ინჟინერს.

**ჩიქოვანს** ელისო დიმიტრის ასულს — რუსთავის ქიმიური ქარხნის ნიტრო-ტამონიუმის განყოფილების უფროსს.

**ცირკუშინსკის** ნოდარ სევასტიანის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქ-სამთოქიმმრეწვის“ შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ხელფასის განყოფილების უფროსს.

**ჯანჯალიას** ჯემალ სერგოს ძეს — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსი“

**ბუტორინს** დიმიტრი მიხეილის ძეს — რუსთავის ქიმიური ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილეს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

**ბუცაშვილის** თინა გაბრიელის ასულს — რუსთავის ქიმიური ქარხნის მე-აპარატეს.

**გველესიანს** ამირან ნიკოლოზის ძეს — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მეაპარატეს.

**დოხნაძეს** კონსტანტინე ვასილის ძეს — ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ზეინკალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რიბასოვს** ვასილ ნიკოლოზის ძეს — რუსთავის ქიმიური ქარხნის ზეინკალს.

